საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტურის დებულება
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის -- ------№-- დადგენილებით

რეგულირების სფერო
დებულების მიზნებია:

- განსაზღვროს დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი;
- განსაზღვროს დოქტორანტურაში სწავლების პროცესი.

მუხლი 1. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების შემოტანის და მათი ჩარიცხვის ვადებს ადგენს აკადემიური საბჭო სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით;

2. ფაკულტეტის პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერეტუსი, აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებამდე, აკადემიურ დეპარტამენტში წარადგენს ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნას

3. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დეპარტამენტში განხილვის საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მოთხოვნას სადოქტორო პროგრამების მიხედვით ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ;

4. ფაკელტეტის დეკანი აკადემიური დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნას და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობას განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე და მოხსენებით ბარათს ვაკანტური ადგილების გამოყოფის და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით ფაკულტეტის საბჭოს ოქმთან ერთად წარადგენს სწავლების დეპარტამენტში.

5. საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის 5-7 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. საფაკულტეტო დროებით კომისიას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

6. ვაკანსიებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით;

7.დოქტორანტურაში ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

8. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარადგინოს:

- განცხადება სტუ-ის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (2 ეგზ.);
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV) (2 ეგზ.);
- სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები (2-2 ეგზ.);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლები (2 ეგზ.);
- 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
- მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულებისათვის) და მისი ასლები (2 ეგზ.).

9. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ;

10. რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის მიერ გავლილი სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამა და არჩეული სადოქტორო პროგრამა, როგორც წესი, უნდა მიეკუთვნებოდეს მეცნიერების ერთ დარგს; შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია;

11. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების დედნები. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, დეკანატის წარმომადგენლის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ასლები კი რჩება პირად საქმეში;

12. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაში მითითებული წინაპირობის შესრულება. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის წინაპირობა შეიძლება იყოს გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში/ენებში ან უცხოური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობა. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

13. გამოცდა უცხოურ ენაში ტარდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. უცხოურ ენაში გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 35%-ს;

14. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს დეკანატის წარმომადგენლის მიერ ვიზირებული განცხადება დანარჩენ საბუთებთან ერთად შეაქვს სტუ-ის კანცელარიაში. რეგისტრირებული განცხადება რექტორის რეზოლუციით შესამოწმებლად გადაეცემა სწავლების დეპარტამენტს. შემოწმების შემდეგ საბუთები გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს;

15. დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ჩატარებას, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების განხილვას, მათთან გასაუბრებას და გადაწყვეტილების მიღებას დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციების მიცემის ან უარის შესახებ და საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის შედგენას;

16. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:

ა. სადოქტორო პროგრამის დასახელება;
ბ. გვარი, სახელი, პირადი ნომერი;
გ. დაბადების თარიღი;
დ. განათლება;
ე. მოკლე ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
ვ. საჭიროების შემთხვევაში უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა ან უცხო ენაში გამოცდის შედეგები;
ზ. გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.

17. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმს (ოქმებს) ხელს აწერენ საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები;

18. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენებით ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) წარედგინება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტს, რომელიც რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებას;

19. ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს რექტორის ბრძანებით სწავლის დაწყებამდე და ბრძანება უნდა განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;

20. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-თან უნდა გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;

21. სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ სწავლების დეპარტამენტს უნდა წარუდგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად), რის საფუძველზეც სწავლების დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;

22. ფაკულტეტის თითოეულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულს), ემერეტუსს, აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების დოქტორის ხარისხის მქონე მთავარ/უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უფლება აქვს იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

23. სამეცნიერო ხელმძღვანელი დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენს დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1);

24. პროფესორი, აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომელი როგორც წესი, ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 4 (ოთხი) დოქტორნატის ხელმძღვანელი, მათ შორის არაუმეტეს 2 დოქტორანტისა სწავლების ერთ წელზე;

25. აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭომ, როგორც წესი, მოცემულ სასწავლო წელს ერთი დოქტორანტის აყვანის ნება შეიძლება დართოს ასოცირებულ პროფესორს, აგრეთვე უფროს მეცნიერ თანამშრომელს (სულ არაუმეტეს 2 დოქტორანტისა);

26. აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭომ დოქტორანტს სწავლების მეორე წლიდან შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობი ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ სტუ-ს პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა.

27. სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრის დაწყებიდან არანაკლებ ორ კვირაში სადისერტაციო საბჭო, აკადემიური დეპარტამენტის რეკომენდაციით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. ამ გადაწყვეტილების (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

მუხლი 2. დოქტორანტურაში სწავლა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები;

2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს;

3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა შესაბამისი კრედიტებით წარმოდგენილია დანართში (--);

4.სადოქტორო პროგრამის ***სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:***

- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა – 4 კრედიტი;
- კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი – 6 კრედიტი;
- სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები –15 კრედიტი;
- თემატური სემინარი – 15 კრედიტი;

სადოქტორო პროგრამის ***სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:***

- სადისერტაციო კვლევის პროექტი – პროსპექტუსი –1 – 5 კრედიტი;
- სადისერტაციო კვლევის პროექტი – პროსპექტუსი – 2 – 10 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1 – 15 კრედიტი;
- კოლოკვიუმი –1 – 15 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა – 2 – 15 კრედიტი;
- კოლოკვიუმი – 2 – 15 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა – 3 – 15 კრედიტი;
- კოლოკვიუმი – 3 – 15 კრედიტი;
- დისერტაციის დასრულება, დაცვა – 30 კრედიტი.

5. როგორც წესი, დაუშვებელია კომპონენტის – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ პარალელურად სხვა კომპონენტების გავლა:

6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: http://gtu.ge/quality/Forms-And-Recomendations/Recomendations.php საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი მოცემულია დებულების დანართის სახით (დანართი -):

7. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის კრედიტების დაგროვება, სასწავლო კურსების ანალოგიურად, ყოველ სასწავლო სემესტრში დასტურდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ ვადაში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

8. სემინარის, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმების შეფასება ხორციელდება კომისიური წესით; იმ შემთხვევაში თუ სემინარის, კოლოკვიუმის და მოხსენება უცხო ენაზეა (უცხოენოვან პროგრამები), დაცვა ხორციელდება თარჯიმნის დახმარებით. აღნიშნული პროცესების მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

9. დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, სადისერტაციო საბჭოში ნაშრომის დასაცავად წარდგენამდე გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია და მიიღოს მონაწილეობა (პირადად გააკეთოს მოხსენება) ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. სტატიებში ასახული უნდა იყოს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები. სამეცნიერო სტატიები უნდა გამოქვეყნდეს სადისერტაციო საბჭოების მიერ რეკომენდებულ და სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში, ან ისეთ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით და რეფერირებულია ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ტომი (ნომერი) უკვე დაბეჭდილია ან ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე. ნაშრომები გამოცემული უნდა იყოს გამოცემათა სულ მცირე ორ ერთეულში.

მუხლი 3. დისერტაციის წინასწარი დაცვა

1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად არის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვა აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე შეიძლება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა.

2. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის წარმოჩენასა და გადაწყვეტას. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს

დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა;

3. წინასწარი დაცვის დროს ყურადღება ექცევა:
- სადისერტაციო თემის აქტუალურობას;
- სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს;
- სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას;
- მომხსენებლის მიერ ნაშრომში დასმული პრობლემის წარმოჩენას და გადაწყვეტას;
- პასუხს დასმულ შეკითხვებზე;
- ვიზუალური მასალის წარმოჩენას;

წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმში (იხ. დანართი-)

მუხლი 4. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით;

2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა;

3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 5. სტუდენტის შეფასება.

დოქტორანტის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის №07/ნ ბრძანების საფუძველზე.

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა;

3. შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი;

4. სტუდენტის სასწავლო კომპონენტების საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების შეჯამებით. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), ან შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), ან დასკვნით/დამატებით გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ან არასაკმარისი ქულის მიღებისას, აგრეთვე დოკუმენტური მასალის შეუსრულებლობის ან დროულად ჩაუბარებლობისას სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა და მას ეს სასწავლო კომპონენტი ხელახლა აქვს გასავლელი;

5. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი) შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;

6. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი) ფასდება ერთჯერადად, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სტუდენტი, რომელიც ვერ მოასწრებს შეფასებაზე გასვლას მიმდინარე სემესტრის სესიების ვადებში, ჩაბარების უფლება მიეცემა დამატებითი გამოცდების პერიოდში ან მომდევნო სემესტრში.

7. თუ სტუდენტი მომდევნო სემესტრის დაწყებიდან დადებით შეფასებას მიიღებს არაუგვიანეს 6 კვირისა, უფლება მიეცემა გააფორმოს სასწავლო ხელშეკრულება იმ კომპონენტის გავლაზე, რომლის წინაპირობაც მოცემული კომპონენტია;

8. დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), სადისერტაციო საბჭოში წარადგინა საჭირო დოკუმენტაცია (სტუ-ს საუნივერსიტეტო საბჭოს დებულების მე-8 მუხლის მე-3 და ნე-4 პუნქტები), ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები;

9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:
ა) ფრიადი (summa cum laude) – 91-100 ქულა, შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – 61-70 ქულა, საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – 41-50 ქულა, არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 40 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი) ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს ერთი სემესტრის განმავლობაში, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იმავე პროსპექტუსის/კოლოკვიუმის წარდგენის უფლებას;

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო მე-9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

მუხლი 6. დოქტორანტის ხელმძღვანელის შეცვლა/დამატება და სადისერტაციო თემის შეცვლა/დასახელების კორექტირება, დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

1. სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს ორი კვირისა, დოქტორანტს აქვს უფლება, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, რექტორს მიმართოს განცხადებით სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ. სწავლების მესამე სემესტრიდან დოქტორანტს აგრეთვე აქვს უფლება მოითხოვოს სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) დამატება, სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც;

2. აკადემიური დეპარტამენტის უფროსის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში, საკითხს გაიტანს სადისერტაციო საბჭოზე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მოხსენებით ბარათს საბჭოს ოქმთან ერთად წარადგენს სწავლების დეპარტამენტში, რომელიც არსებული წესის თანახმად უზრუნველყოფს ბრძანების პროექტის მომზადებას;

3. დოქტორანტის და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, როგორც წესი, სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს ორი კვირისა შეიძლება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება. სადისერტაციო თემის

დასახელების კორექტირება დასაშვებია დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე;

4. სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან დასახელების კორექტირების შესახებ დეპარტამენტის უფროსის მოთხოვნით გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, საბჭოს ოქმთან ერთად, წარედგინება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტს, რომელიც, არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.

5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის შეუსრულებლობისას დოქტორანტს აქვს უფლება, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი ან ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში, ამისათვის მან მითითებული პროგრამის ვადის დასრულებისას, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და, შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება არსებული წესის თანახმად;

6. დოქტორანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამა ვერ დაასრულა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით სემესტრში სტატუსის გაგრძელების შესახებ განცხადებით არ მიმართა რექტორს, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

7. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს. დეკანის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს და აფასებს დოქტორანტის სადისერტაციო თემის აქტუალურობასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. კომისიის მიერ დამატებით 60-ზე მეტი კრედიტის გავლის საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტმა შეიძლება შეიცვალოს სპეციალობა (პროგრამა) სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის განხილვაში მონაწილეობა;

2. სემინარის/კოლოკვიუმების კომისიებში, წინასწარი დაცვის პროცესში მონაწილეობა (შერჩევით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით);

3. სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ წინადადებების განხილვა/მომზადება;

4. პროგრამაზე მობილობით გადმოსული მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ კომისიაში მონაწილეობა. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების და არჩეული პროგრამის თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;

5. პროგრამის განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და ანალიზი;

6. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 8. აკადემიური დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილება

1. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტების მისაღები ადგილების (ვაკანსიის) შესახებ საკითხის განხილვა;

2. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტის/დოქტორანტების სავა-რაუდო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის/თემების განხილვა;

3. დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობის შესახებ წინადადების დამუშავება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე განხილვა;

4. კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ წინასწარი დაცვის შედეგების მიხედვით აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დარგობრივი კომისიის ოქმის განხილვა დოქტორანტის დაცვაზე დაშვების რეკომენდაციის მიცემის მიზნით;

5. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებ-ის შესრულება.

მუხლი 9. დოქტორანტურა პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით

1. სტუ უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორცი-ელებლად;

2. სტუ უფლებამოსილია საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივად განახორციელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

3. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ;

4. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობისას დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოქტორანტურაში მიღების პირობებს;

5. სტუ-ის დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე;

6. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ სტუ-ის პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა;

მუხლი10. მობილობა დოქტორანტურაში

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.

2. მობილობა ტარდება სტუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის შესაბამისად;

3. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის სადოქტორო პროგრამასთან;

4. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის დროს მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციები;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები, პროექტები და ა.შ).

5. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების აღიარებას, აგრეთვე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია.

მუხლი 11. დებულების ძალაში შესვლა

დებულება ძალაშია :

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი	
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	**25**	**20**			**-**	**-**
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4					
2		კვლევის მეთოდები	5					
3		სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	6					
4		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები	10	5				
5		თემატური სემინარი		15				
		კვლევითი კომპონენტები	**5**	**10**	**30**	**30**	**30**	**30**
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი-პროსპექტუსი-1	5					
2		სადისერტაციო კვლევის პროექტი-პროსპექტუსი-2		10				
3	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1			15			
4	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი-1			15			
5	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 2				15		
6	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი-2				15		
7	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 3					15	

8		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი-3					15	
9	-							30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30
		სასწავლო წელს	60		60		60	